თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8057826

ნომერი: AR11150530

თარიღი : 23.07.2026

გაცემის თარიღი : 24.08.2026

გაცნობის თარიღი : 31.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ კანდელაკი პ/ნ 01018003087
- თბილისი,თორაძის ქN9

ორგანიზაცია:

- ლეჩკომბინატი #1 კოდი: 204577216

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- ფოტომონტაჟი: მითითებულ ველშია წარმოსადგენი ფოტომონტაჟი (ჩასვლა - ამოსვლის მონაკვეთების ასახვით), და არქიტექტურული პროექტი: წარმოდგენილი პროექტის შენიშვნების მე-8 პუნქტის შესაბამისად საუბარია მანძილების დაცვაზე, პროექტი წარმოსადგენია აღნიშნული მანძილების დაცვის დადასტურებით, კერძოდ: განიმარტოს დაცულია თუ არა მითითებული მანძილები;
- წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები (თანხმობა გაცემული უნდა იქნეს მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს ვლადიმერ კანდელაკის (პირადი N01018003087) მიერ NAR11150530 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. წერილობით თანხმობებში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
- სათანადო წესით დამოწმებული ასლი ყველა იმ ტექნიკური დოკუმენტისა, რომელთა მიხედვითაც იქნება გაცემული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების თანხმობები.
- შპს „თბილისი ენერჯის“ უფლებამოსილი პირის მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს ვლადიმერ კანდელაკის (პირადი N01018003087) მიერ NAR11150530 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (წერილობით თანხმობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
- შპს „თბილისი ენერჯისა“ და შპს „ლეჩკომბინატი N1-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204577216) შორის გაფორმებული ხელშეკრულება სრული სახით (ყველა გვერდის შემცველობით) და სათანადო წესით დამოწმებული.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

13:13:12 query returned open=false

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.